ცნობის ფურცელი

№ 2126 შაბათი, 19 აპრილი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2126

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში [illegible] ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშუეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე;
დილით:
მ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
ნ. ტ. მუღიანი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.
მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.
ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.
მ. პ. ბახლუზნიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.
დ. ი. ძამღაძე.—საშარდლე (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.
ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ.-ოთხშ. და შაბათი $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.
დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.
ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდლისა 1—2 საათამდე.
ბრ. მ. ხოზილოვსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.
საღამოთი:
ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).
მუდმივი ექიმი ზ. დ. ნახარიძე.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წ.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი
ც. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

წარმოდგენა 49—10. ტელეფონი 617.
ქართული თეატრი
კვირას, 20 აპრილს, 1903 წ.
◆ იაფ-ფასიანი წარმოდგენა ◆
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
✡ დაკლებულის ფასებით ✡
მეორედ ახალი პიესა.
I
მურად-ფაშა
ისტორ. დრამა 4 მოქ. ბ—ლისა, გადმოკეთებ. მეტერლინკის „მონნ-ვანადან".
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი დაკლებულია.
დასაწყისი საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე.
მზადდება წარმოსადგენად „ოტელო".
რეჟისორი მ. გუნია.

სახალხო წარმოდგენა № 18
ტფილისის სიფხიზლის საზოგად.—ავლაბრის განყოფილება
ნ. ნ. მურამკოს თეატრი
კვირას, 20 აპრილს, 1903 წელს
◆ სადღესასწაულო წარმოდგენა ◆
ქართული სცენის მოყვარეთაგან
გიგო გელიკურაშვილის ოცის წლის მოღვაწეობის პატივსაცემლად
წარმოდგენილი იქნება
I
ძუნწი
კომედია 2 მოქმედებად გ. ერისთავისა.
II
გაცრუებული იმედი
მეორე მოქმედება აზიანისა.
III
მამიკო
მესამე მოქმედება ა. ცაგარლისა.
IV
აპოთეოზი
მონაწილეობენ: ქ. ქ. აფხაზიშვილი, გორელი, ქართველიშვილი, ქურული; ბ. ბ. ბალაშვილი, გაბოშვილი, გელიკურაშვილი, იმედაშვილი, მეტრეველი, პეპანოვი, რევაზიანი, სალაყაია, ფავლენიშვილი, ყალაბეგაშვილი და სხვ.
ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა, დუდუკი და ქართველ მომღერალთა გუნდი იმღერებს.
თეატრთან არის სასეირნო ბაღი და ბუფეტი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
შემდეგისთვის მზადდება: „დამნაშავე?" დრ. ფოსისა
(3—3) რეჟისორი იოსებ იმედაშვილი.

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის
საზოგადო კრება
დანიშნულია ამხანაგობისავე სადგომში (განჯის ქუჩა)
კვირას, 20 აპრილს, საღამოს 8 საათზე.
ეს კრება გაგრძელებაა 2 აპრილს შემდგარის საზოგადო კრებისა.
ცალკე მოსაწვევი ბარათები არავის არ გაეგზავნება, რადგან წევრთა უმრავლესობის ადრესები არ არის კანტორაში.
კრებაზე დასწრება შეუძლიანთ მხოლოდ წევრთ. (3—1)

გამგე კომიტეტი
ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების ღარიბ მოსწავლეთა დახმარებისათვის
აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამ წლის 19 მაისს, ორშაბათს, საღამოს რვა საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური
საზოგადო კრება.
განსახილველი:
1) ანგარიში საზოგადოების 1902 წლის მოქმედებისა და მოხსენება ამ ანგარიშის შესახებ;
2) სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1903 წ.,
3) მოხსენება საზოგადოების ახლის შენობის აგების შესახებ ვერაზე და ამ საქმისათვის შემოწირულება;
4) მოხსენება ქალთა სკოლის გახსნის შესახებ;
5) მიმდინარე და სხვა-და-სხვა საქმეები და
6) არჩევანი კომიტეტის ერთის წევრისა. (3—1)

საზღვარ-გარედ

—

დრეიფუსის საქმე. ჟორესის შესანიშნავმა სიტყვამ დრეიფუსის საქმის გამო გამოიწვია წერილი ფერლე დე-ბურბონისა, რომელიც აქამდე ღრმად დარწმუნებულია, რომ დრეიფუსი ნამდვილი მოღალატე და გერმანიის იმპერატორის ჯაშუშია. სხვათა შორის, დე-ბურბონი სწერს: „ერთ ჩემ მეგობართან ხშირად ვხვდებოდი პოლკოვნიკ სტოფელს, რომელსაც დიდი ადგილი ეკავა სამხედრო და დიპლომატიურ წრეებში და თან ახლო მეგობრობა ჰქონდა გერმანიის ელჩ მიუნსტერთან. ერთხელ სტოფელმა გადმოგვცა იმ საუბრის შინაარსი, რომელიც მას მიუნსტერთან ჰქონია: გერმანიის საელჩოდან მოუპარავთ დოკუმენტი, რომლის ავტორი თვითონ იმპერატორი ვილჰელმი ყოფილა. ამ უკანასკნელის ბრძანებით მიუნსტერი მისულა რესპუბლიკის მაშინდელ პრეზიდენტთან, კაზიმირ პერიესთან და მოუთხოვნია დოკუმენტის დაბრუნება. მეორე დღეს კაზიმირ პერიეს ჩაუბარებია ეს დოკუმენტი მიუნსტერისათვის, რომელსაც მოუთხოვია, რომ მასაცა და პრეზიდენტსაც ბიბლიაზე დაეფიცნათ, რომ ხსენებულ დოკუმენტს არ არსებულად ჩასთვლიან. პოლკოვნიკ სტოფელმა შემატყობინა აგრეთვე ნამდვილი ტექსტი ვილჰელმ მეორის შენიშვნისა შვარცკოპენისათვის გაგზავნილ ბორდეროზე—„გამოგზავნეთ რაც შეიძლება ჩქარა აქ ჩამოთვლილი დოკუმენტები: აიჩქარეთ ეგ უსინიდისო დრეიფუსი. ვილჰელმი."

ამაზე ჟორესმა შემდეგი პასუხი დასწერა თავის გაზეთში: „ამ გვარად თქვენ ამტკიცებთ, რომ არსებობს თუ არსებობდა ბორდერო, რომელზედაც ვილჰელმ მეორის საკუთარის ხელით იყო დაწერილი შენიშვნა. ვითხოვ თქვენგან, რომ საჯაროდ გამოაცხადოთ ის, რაც ხშირად კერძოდ ბევრისთვის გითქვამთ, სახელდობრ ის, რომ გენერალ მერსიეს ჰქონდა იმპერატორ ვილჰელმის შენიშვნის ფოტოგრაფია და რომ იგი ამ ფოტოგრაფიით სარგებლობდა რენის პროცესის დროს. რადგან ფერლე დე-ბურბონი პატიოსანი კაცია, დარწმუნებული ვარ, უარს არ იტყვის თავის ნათქვამზე. მაგრამ არიან სხვა პირებიც, რომელთაც შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ მერსიემ ბევრს უჩვენა ხსენებული ფოტოგრაფია. ამ პირებ შორის არის სხვათა შორის პარიზის ცნობილი ექიმი და პროფესორი უნივერსიტეტისა ბ. ბრისო. აი, რა მიამბო პატივცემულმა ექიმმა: ერთხელ იგი მიუწვევიათ ბერის ქუჩაზე ავადმყოფის სანახავად; აქ მისაღებ ოთახში უნახავს გენერალი მერსიე. ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ ბრისოს უკითხავს დიასახლისისათვის: „გენერალი მერსიე ალბად იმპერატორ ვილჰელმის ხელით დაწერილ შენიშვნაზე გელაპარაკათ?"—„არა თუ მელაპარაკა, შენიშვნის ფოტოგრაფიაც მიჩვენა და ეს საბუთი დრეიფუსის დანაშაულობისა შეურყეველია." ეს ამბავი მომხდარა 1898 წლის 21 ნოემბერს,

ფელეტონი

—

ხევსურების

ვინაობა, მათი ცოლ-ქმრობა, გაჭირვება და სახსარი შველისა.

პირაქეთ თუ პირიქით ხევსურეთში მრავლობს ორი გვარი—ქინქარაული და არაბული. როგორც სხვისთვის, ისე ჩემთვისაც გამოსაცნობია, საიდან, როგორ და როდის შემოვიდა ეს მეორე გვარი. ეს საკითხი უფრო დაჟინებით თხოულობს პასუხს, როცა უახლოვდები ხევსურთ ცხოვრებას, ათვალიერებ მათ ფიზიკურ და ზნეობრივ აგებულებას, მათს სახის პირს და ოჯახობას. თითქმის გონება თხოულობს დაასკვნას, რომ ერთი ნაწილი ხევსურთა ოდესმე არაბეთის შვილნი ანუ სხვა აღმოსავლეთის ქვეყნის შვილნი უნდა იყვნენ გადმოსახლებულნი. თუ როდის და ვისგნით—წყვდიადში იკარგება.

ხევსურეთში მოჯიშობს ორი ტიპი: ერთი წმიდა ქართული მთიელთა თეთრ-ყირმიზი, სახის მოყვანილობით წარმტაცი, მეორე—შავ-კანიანი, მაღალის ტანისა, გალეულის პირის-სახისა, მბჟუტავი თვალებისა და არწივისებურის გამწვეტებულის ცხვირისა. საიდან აღორძინდა თოვლიან ყინულიან ხევსურეთში ეს ცხელის ქვეყნის შავ-კანიანი ტიპი? ახლა აიღეთ ის გარემოება, რომ იმ დროს, როდესაც ყინვის სიმძაფრე ქვასა ჰხეთქავს, ჰხედავ, რომ ხევსურებს ბალღებისთვის თავები გადუპარსიათ და კოჩრები და კავებიღა დაუტოვებიათ. რამ აფიქრებინათ ეს ამ ქვეყანაში, განა შესაფერია ეს ამ ამინდისათვის? აქ რომელმა სიცხემ უნდა შეაწუხოს, რომ თავი გრილათ შეინახოს თუ არ მოყოლილმა რჯულთ უმტკიცესმა ჩვეულებამ. ამას დაუმატეთ დედაკაცების გარს შემოწნული ნაწნავები ანუ რგვლად შემოკრეჭილი თმა ანუ მათი თავის იალქნები და ისევ ის კითხვა წამოგიდგებათ. დაუკავშირეთ ამას მათი ცხოვრება, ტანისამოსი, იარაღი, დროს ტარებანი, ზეპირგადმოცემანი და მაშინ განსაჯეთ, თუ ხევსურნი კერძოდ ვინ არიან. ხევსურის დედაკაცი სცხოვრობს ძირს სართულში, მამა კაცი კი მაღლა „ჭერხოში; ტანისამოსს ატარებენ ქალიან კაციანად ზიზილ-პიპილებით აჭრელებულს სათვალ-ღვიქილით მოქარგულს.

იარაღში უპირველესი ადგილი უჭირავს ხმალსა და ფარსა. არც ცხოვრებით, არც ჩაცმა-დახურვით, არც ხასიათით და არც იარაღის ხმარებით ეგენი არ წააგვან არც ერთ მეზობელთ მთიელთ. მათი ადათები, უქმეები და დროს ტარება სრულებით სხვა გვარია. ჩვენ ვიცით იარაღს და განსაკუთრებით ხმალს კარგად ხმარობს თუში, ფშავი, ლეკი, ქისტი და სხვა, მაგრამ სულ სხვა არის ხევსურის ხმლის ხმარება. ხევსურის კეკნაობა არ იცის არც ერთმა მთიელმა და არ იცი როგორ ახსნა, რა სთქვა, საიდან მიიღო ხევსურმა ეს ვარჯიშობა. ხევსური უხმლოდ ისე ვერ გასძლებს, როგორც ჩვენ უწყლოდ. ის ხმალს ისევე ათამაშებს, როგორც შენ პატარა წკეპლა ათამაშო, ის რომ ხმალს დააცვეთს და ჰაერშივე შეაჩერებს არ წამოვიდესო, განცვიფრებაში მოდიხარ, სანამ შენ მოუქნევ, ის უკვე ასკუპია ან გადამხტარია, მერე თუ გაგიმეტა და იმანაც მოგიქნია, მშვიდობით. ხევსური ხმალს ჰაერშიკე აზომინებს მოქიშპეს რა ჭრილობა უნდა მისცეს, თუ მეტი წაუვიდა, პასუხი უნდა მისცეს მერჯულეს თემის წინ. ჭრილობა გაიზომება ხორბლის მარცვლით და „მერჯულეები" ამისდა კვალად დააკისრებენ ან ძროხას ან ხარსა. სხვა საფასური სძევს პირზე ჭრილობას, თავზე, ხელზე და ტანზე. თუ ძვალი ამოვიდა თავიდან, მაშინ უთუოდ უძროხოთ არ გათავდება; თუ დაშავდა, ან ფეხით, ან ხელით ან თვალით, მაშინაც ძროხებით უნდა გადაწყდეს დანაკლისი. აქ ყოველისფერს თითქმის ძროხით ანგარიშობენ: ცხენის ყიდვა გინდა, ხმლისა და თოფისა, თუ კაცის კვლა, ყველა ეგენი უნდა ძროხებით იანგარიშო.

ეს ხმლის ხმარება არამც თუ დიდებშია გავრცელებული, პატარა ბაღანა ბიჭებიც კი სულ ამის ვარჯიშობაში არიან და ხშირად კიდეც უთავაზებენ ხოლმე თავის ტოლებს და დიდებსაც. მერე მშობლები იმას ხომ არ ეტყვიან, რატომ არ მოერიდეო. მაშინვე იმას ჰკითხავენ—ხომ არ გეშეექეციო? მოსულ ხმალს კაცი როგორ უნდა გეექცეს, ან უნდა მოკლას, ან თვითონ იქავე მოკვდესო. მაშინვე ჭრილობას გაუჩხრეკავენ—ხელის გულზე აქვს თუ ზურგზე, შუბლზე თუ უკან კეფაზე და სამსჯავროს ისე დასდებენ. ერთის მეტიც რომ არ ჰყავნდეს პატრონს, მაინც სულ იმაზე არიგებს, რომ ლაჩრობა არ გამოიჩინოს და კეკნაობაში არ გაექცეს. ამისთვისაც ეს საწყლები ერთმანეთს მუსრს ავლებენ, სჩეხენ, ხეჩავენ და ახიჩავებენ; დალიეს თუ არა პატარა არაყი, მშვიდობით, ერთმანეთს უთუოდ სისხლი უნდა გამოუშონ. სჯული არ არის სადმე ან ქორწილი იყოს, ან ქელეხი, ან ხატობა, რომ სისხლი არ დაიღვაროს. რა ღონისძიებისთვის შორს წასვლა მოუხდებათ? ხლორთფორმით კი არ დაძინონ და ოპერაცია ისე არ გაუკეთონ!

როცა ჰანრის სიკვდილს შემდეგ გენერალ მერსიეს დასჭირდა საზოგადოების შერყეულ რწმენის განმტკიცება შესახებ დრეიფუსის დანაშაულობისა."

ზომიერ მიმართულების გაზეთი „ტან"-ი საბოლოოდ და გაბედულად გადავიდა დრეიფუსის საქმის განახლების მსურველთა მხარეზე, რაც მეტად სიმპტომატიურია. ამ გაზეთს მიუმართავს რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტ კაზიმირ პერიესათვის და უთხოვნია თავისი აზრი გამოეთქვა ფერლე დე-ბურბონის წერილის შესახებ. პერიეს მიუთითებია იმ ჩვენებაზე, რომელიც მან რენის მოსამართლეებს მისცა. ამ ჩვენებიდან კი ნათლად სჩანს, რომ კაზიმირ პერიესა და გრაფ მიუნსტერის საუბრის საგანი თავის დღეში არ ყოფილა ის ბორდერო, რომელზედაც ვილჰელმ მეორეს უნდა დაეწეროს ცნობილი შენიშვნა.

მიჰმართეს გენერალ მერსიესაც. „მე მხოლოდ ერთის თქმა შემიძლიაო, უთქვამს გენერალს: რასაც ჟორესი ამბობს, თავიდან ბოლომდე სიცრუეა, მაგრამ სურვილი არა მაქვს პოლემიკა დავიწყო". გაზეთი „ტან"-ი შენიშნავს გენერლის ასეთის პასუხის გამო: „როგორც სჩანს, მერსიეს იმედი აქვს, რომ საბოლოოდ დამალავს იმ ბოროტ-მოქმედების კვალს, რომელიც მან ჩაიდინა რენში „იმპერატორის წერილის" საშუალებით. თავის დროზე გენერალი ბევრს ეცადა დაემალა ის ბოროტ-მოქმედებანი, რომელიც მან 1894 წლის პროცესის დროს ჩაიდინა ყალბის დოკუმენტების წყალობით, მაგრამ სიმართლემ თან-და-თან მაინც თავი იჩინა. იგივე მოხდება ეხლაც: უფრო და უფრო გამოაშკარავდება „იმპერატორის წერილის" მეოხებით ჩადენილი ბოროტ-მოქმედება დრეიფუსის ხელმეორედ დასჯისათვის; გამოაშკარავდება ისიც, თუ როგორ ემზადებოდა გენერალი მერსიე ინგლისში გასაქცევად".

გაზეთ „ლიბერტე"-ს თანამშრომელს მიუმართავს ფერლე დე-ბურბონის წერილში ნახსენებ სტოფელისათვის, მაგრამ პოლკოვნიკს გამოუცხადებია, რომ არაფერს იტყვის დრეიფუსის საქმის შესახებ.

ეხლა თვითონ ალფრედ დრეიფუსიც გამოვიდა სცენაზე: მან მიჰმართა თხოვნით სამხედრო მინისტრს, რომ ახალი გამოძიება დაეწყო, რადგან ახალმა გარემოებებმა იჩინეს თავიო.

„ტან"-ის არ იყოს, სიმართლის გამომჟღავნებას ეხლა ვერაფერი შეაჩერებს. სიმართლის პირველი მოციქულობა დრეიფუსის საქმეში ემილ ზოლამ შეასრულა. საქმის განგრძობა და დაბოლოვება ჟორესმა იკისრა. უკანასკნელის ნიჭი, გაბედულება და გამჭრიახობა თავდებია იმისა, რომ საქმეს ვერ მიაფუჩეჩებენ, სიმართლე გამომჟღავნდება და ბნელეთისა და სიყალბის წარმომადგენელნი იძულებული გახდებიან ბარგი აიკრან და რომელსამე სამშვიდობო ბინას მიაშურონ.

* * *

ახალი ამბავი

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას ნება დაურთავს გაიმართოს მგზავრთათვის მცხეთიდან $3^{1}/_{2}$ ვერსის მანძილზე ეგრედ წოდებულ „მარტგაზ"-ში ბაქანი. ამ ადგილას ნავთის მილის სადგურს ჰმართავენ.

◆ აზრადა აქვთ 4 მაისს იდღესასწაულონ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ **სახელოსნოების 20 წლის მოღვაწეობა.** დღესასწაულის მოსაწყობად სახელოსნოების უფროსს გამგეობისათვის 700 მანეთი უთხოვნია.

◆ დღეისთვის დანიშნულია **წლიური კრება** კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა. კრება მოხდება საღამოს 8 საათზე, საზოგადოების სადგომში.

◆ მაისში, როგორც „ნოვ. ობოზრ."-ს გაუგია, ტფილისის ქალაქის მოურავი თავ. **არღუთინსკი-დოლგორუკოვი** პეტერბურგს წავა ქალაქის საქმეების გამო.

◆ ტფილისის დედათა ინსტიტუტში **მისაღები ეგზამენები** დაიწყება 16 მაისს. მეორედ მისაღები ეგზამენები შემოდგომაზე მოხდება.

◆ რადგან ამქრების **ხელოსნებს და ქარგლებს** დარჩენილი გადასახადი ვერ შეაქვთ სახელოსნო გამგეობაში, ხელოსანთა მამასახლისს შეუდგენია ქარგლებისა და ხელოსნების სია, გადაუცია პოლიცმეისტრისთვის და უთხოვნია, ადმინისტრატიულის საშუალებით მოიკრიბოს დარჩენილი გადასახადი.

◆ 24 აპრილისთვის დანიშნულია **საფხიზლის საზოგადოების წლიური კრება.** კრებამ უნდა აარჩიოს კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრნი. სხვათა შორის, კრებამ უნდა განიხილოს მოხსენება ავლაბარში განყოფილების დაარსების შესახებ.

◆ 17 აპრილს **ხორცის დუქნების** გამგე კომისიამ განიხილა ალიხანოვის წინადადება 50,000 მანეთის გადადების შესახებ ყველა უბანში ხორცის დუქნების გასამართავად და აწ არსებულ დუქნების უფრო რიგიანად მოსაწყობად. კომისიამ შეიწყნარა ეს წინადადება და დაადგინა სთხოვოს საბჭოს გადასდოს 50,000 მან. კომისიამ ამასთანავე დაადგინა, თუ საბჭომ 50,000 მან. გადასდო, აღძრას საკითხი, რომ როგორც მოსკოვსა, ოდესასა და სხვა ქალაქებშია, ტფილისშიაც ხორცის ვაჭრობა სწარმოებდეს უნიხროდ.

◆ ტფილისის **რეალურ სასწავლებელში** მისაღები ეგზამენი მოხდება 21 მაისს.

◆ 17 აპრილს კრება ჰქონდა ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს. სხვათა შორის, საბჭომ განიხილა გამგეობის წინადადება,—**როგორი საავადმყოფო უნდა აშენდეს** იმ 100,000 მანეთით, რომელიც შესწირა არამიანცმა. ამ საქმემ დიდი კამათი გამოიწვია. ექ. მ. გედევანიშვილის აზრით, უნდა აშენდეს სულით ავადმყოფთა თავშესაფარი. წევრთა უმრავლესობამ ამჯობინა შინაგან სნეულებიანთა საავადმყოფო. ბოლოს საბჭომ ეს აზრი მიიღო.

◆ ტფილისის ვაჟთა **მეორე გიმნაზიის** უფროს კლასებში წელს არც ერთი თავისუფალი ვაკანსია არა ყოფილა.

◆ ამას წინად ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისიამ საჭიროდ სცნო გამგეობამ **გააუქმოს ის გადასახადი,** რომელიც ჰხდებათ მცხოვრებთ ოთახებისა და ძველის ტანისამოსის დეზინფექციისთვის. ეს დადგენილება განსახილველად გადაეცა სასანიტარო სამკურნალო საბჭოს, რომელმაც განიხილა იგი 17 აპრილს. გამოირკვა, რომ დეზინფექციისათვის წელიწადში საჭიროა 10,000 მან. სასანიტარო საბჭოც არ არის წინააღმდეგი გადასახადის გაუქმებისა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა **პროექტი საზოგადო ინსტრუქციისა,** რომლითაც საბჭოს ყველა აღმასრულებელმა კომისიებმა უნდა იხელმძღვანელონ. 17 აპრილს ეს პროექტი განიხილა გამგეობამ კომისიების თავმჯდომარეთა თანდასწრებით. პროექტი საბჭოს წარედგინება განსახილველად.

◆ დღეს, 19 აპრილს, გროზნაში მიდის **სამხედრო სასამართლოს სესსია.** იქიდან კავკავს წავა, სადაც გაარჩევს საინტერესო საქმეს მაზრის უფროსის პოდპოლკოვნიკის ვრუბლევსკის მოკვლის შესახებ. ბრალი ედება რვა ინგუშს. ამ მკვლელობამ თავის დროზე ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბრალდებულთ დამცველებად ტფილისიდან რამდენიმე ნაფიცი ვექილი მიუწვევიათ.

◆ სოლოლაკის ზოგიერთ ქუჩებში **სახლები ელექტრონით არის ეხლა განათებული.** რადგან ელექტრონის სინათლის მომწყობი ფირმები ქალაქის სასარგებლოდ არაფერს იხდიან, მეოთხე ნაწილის ბოქაულმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს, დაადგინოს საბჭომ, რომ ამ ფირმებმა სახლებთან ქუჩებიც გაანათონ.

◆ 17 აპრილს სგუბერნიო ექიმი ქიქოძე და იმისი თანაშემწე მაჭავარიანი გორის მაზრაში წავიდნენ **მეჯვრის-ხევისა და აგდეგის** სასოფლო სამკურნალოების სარევიზიოდ.

◆ მასწავლებელ ქალთა საზოგადოებასთან არსებულ სკოლის სასარგებლოდ 26 აპრილს ექიმი ხატისოვი **წაიკითხავს ლექციას.** ზემოხსენებულ სკოლაში ამ ჟამად 160 ღარიბ ბავშვამდე სწავლობს.

◆ სახლის პატრონებზე ტფილისში დიდძალი (200.000 მანეთამდე) ძველი გადასახადია დარჩენილი. ასეთი გადასახადება თვით შეძლებულ სახლის პატრონებზედაც კი არის. საბჭოს განსაკუთრებული კომისია ჰყავს ამორჩეული, რომელიც იმათ თხოვნებს არჩევს, ვინც დარჩენილი გადასახადის პატიებას თხოულობს. კომისიას კვირაში ერთხელ აქვს ხოლმე კრება და ყველა თხოვნის განხილვას ვერ ასწრობს. სხვათა შორის, გუშინაც ჰქონდა კრება. საინტერესოა ერთის სახლის პატრონის დაგინზევინის მემკვიდრეთა თხოვნა. ამათზე 1893 წლიდან დასაფასებელი გადასახადი ითვლება 1800 მანეთზე მეტი. გამგეობას არაფერი საშუალება არ უხმარია ამ ფულის შესაკრებად და არც სახლის პატრონებს გადაუხდიათ. ეხლა დაგინზევინებს შეუტანიათ განცხადება, რომლითაც თხოულობენ, გვაპატიეთ რაც ამ ათ წელს ჩვენზე ჯარიმაა, და ამას გარდა ფული ისე გაანაწილეთ, რომ წელიწადში 50 მანეთობით ვიხადოთ, ესე იგი 36 წელიწადში გადავიხადოთ ვალს; წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს მოგცემთო. ვიმეორებთ, ბევრ შეძლებულ სახლის პატრონებზეა დარჩენილი თურმე გადასახადი, მაგრამ გამგეობა არ სცდილობს ფულის შეკრებას.

◆ კომისიამ, რომელიც კონიუდის ქუჩაზე სახლს აშენებს ცეცხლის მქრობელ რაზმისთვის, სამირკველი უკვე ჩაჰყარა. ეხლა კომისიამ დაადგინა, რომ დანარჩენი მუშაობა იჯარით გასცეს.

◆ ტფილისის რეალურ სასწავლებლის ინსპექტორად, როგორც „ნ. ო." გადმოგვცემს, ჰნიშნავენ იმავე სასწავლებლის მასწავლებელს სტანიშევსკის.

◆ სიღნაღის სკოლის მასწავლებელი გიორგი წიწიშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ: „უღრმეს მადლობას ვუცხადებ სიღნაღის საზოგადოების მხრივ: ფარნაოზ ლაპარტეაძეს, აზ. ეგნატე თოფურიძეს და ხასუ თოფურიძეს: პირველმა შემოსწირა ექვსი ცალი წიგნი რუსულ-ქართული, ღირებული 5 მ. და 50კ. მეორემ—გამოუწერა სიღნაღის სასწავლებლის უფასოდ სამკითხველოს გაზ. „ცნობის ფურცელი" და მესამემ სკოლის ბაღისთვის ნერგები. მადლობას ვუცხადებ აგრეთვე აქაურ მამასახლისს".

◆ 17 აპრილს კრება ჰქონდა ტფილისელ მჭედელთა ამქარს თანამდებობის კაცთა ამოსარჩევად. უსტაბაშად ამოარჩიეს მიხეილ პოტაპოვი, მის თანაშემწეებად მათე სამადუროვი და ივანე პოტაპოვი, ხოლო ხმოსნებად—სტეფანე გარჩაგინი და ვასილ ვასილიევი.

◆ დღეისთვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე გაზ. „ნოვოე ობოზ." რედაქტორის თავ. გ. მ. თუმანოვისა, რომელსაც დიფამაცია ბრალდება, კონსტანტინე მიქაძისა, რომელსაც მოხელეთათვის სამსახურის ასრულების დროს წინააღმდეგობის გაწევა ბრალდება, და სხვათა.

◆ 26 აპრილისთვის ტფილისის მეორე განყოფილების მოსამართლესთან განსახილველად დანიშნულია საქმე მოქალაქეთა ხარჯის ამკრებ მამასახლისის ხოსროევისა, რომელსაც ჯილდაიანცი ცილის დაწამებას უჩივის.

◆ ორთაჭალაში მტკვარზე დროებით გამართული ხის ხიდი გუშინ-წინ ჩატეხილა. ამ დროს ხიდზე ყოფილა ერთი მეთევზე, რომელსაც მაშინვე მიეშველნენ ნავებით და გამოიყვანეს.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერს დაუბარებია გერმანიიდან ერთგვარი მანქანა ცეცხლის ქრობის დროს გამოსადეგი. ეს მანქანა რკინის ქუდსა ჰგავს, როგორიც მქრობელთა ჰხურავთ. წინ მინის სარკმელი აქვს. უნდა თავზე დაიხუროს ცეცხლის მქრობელმა და ყელზე ბაწრით დაიმაგროს, ისე რომ კომლი კაცს ვერაფერს აკლებს. ჰაერი მილიდან მიდის, რომელიც მიბმული აქვს მანქანას. კარგია ეს სახურავი სარდაფში ცეცხლის გაჩენის დროს, როცა კომლის გამო მუშაობა ძნელია და არც ჭირია. პოლიცმეისტერ-

---

თითქმის ყველა სოფელს ჰყავს დახელოვნებული ჯარა-ექიმი, რომელიც საყასპო დანით ბარბაროსულის წესით ოპერაციას გაუკეთებს, ჭრილობას შეუხვევს და ძვლებსაც ამოაცლის; რასაკვირველია, ბევრს საიქიოსკენაც ისტუმრებს. რომ ვუყურებ ამ საცოდავებს, ვფიქრობ, უმჯობესი არ იქნება, ამათაც აეყაროს იარაღი? მეუბნებიან, ქისტები მაშინ ცოლშვილს სულ დაჰპარავენო, მაგრამ განა სულ ერთი არ არის, შინ მიუსვლელი თუ წყალ-წაღებული?

დიახ, რომ ეგ შიში მართალია და ხევსური თოფს ველარ მოიშორებს იმ დღიდან წელიდან, რამწამ შატილიდან და მითხოდან გზა გაიხსნება და ქისტები გადმოაბიჯებენ; მაგრამ ქისტებზე უარესობას თვითონ უშვრებიან თავის თავს, ამაზე რას იტყვით? მართალია, ეს ორი ხალხი ძველთაგანვე ისე არიან გადამტერებულნი ერთმანეთზე, როგორც თხა და მგელი; ეს მტერობითი გრძნობა ისტორიის ბრალია ისე, როგორც ადამიანს ძაღლი მოუშინაურებია მგლის ასალაგმავად და მასზე მუდამ უკეშნია, ან როგორ კატა თაგვზე. ამისთვისაც ხევსური და ქისტი არასოდეს არ დაზოგავენ ერთმანეთს, თუ მოიხელთეს, არც მოსაკლავად, არ მოსაპარავად. მათ ერთმანეთში ათობით და ოცობით მკვდრები უმართიებთ და ნიშნად ქვები უყუდიათ, რომ სისხლი უნდა აიღონ და მკვდრის სული მოასვენონ. თუ იარაღის აყრა ჯერ-ჯერობით მოუხერხებელია, და მეც ვიტყვი შეიძლება მართლა ქისტებმა დიდი ზარალი მისცენ, მაშინ საჭირო იყო ყოველს სოფელს დაედგინა ოქმი კექნაობის აკრძალვისა და ყველგან მოსპობილიყო დაკბილულის საცერულის კეთებაც და ტარებაც. რომ კექნაობა ბევრს არ მოსწონს, ეს ჩემთვისაც ბევრს შემოუჩივლია და უთხოვნია კიდევაც გვიშუამდგომლე მთავრობასთან ეს ბოროტება მოსპოს ჩვენშიო, თორემ ერთმანეთს სულ ამოვჟლეტავთო. მე მგონია, ადგილობრივს პრისტავს, რომელსაც კარგი გავლენა აქვს და დიდ პატივსაცა სცემენ, თუ ეცდება, შეუძლიან ცოტათიც არის შეამციროს ეს სენი, ნამეტნავად მაშინ, თუ ადგილობრივი მღვდლებიც თავის მხრით ჩააგონებენ ხალხს ხელი აიღონ ამ ველურს ადათზე.

ბოლოს-კი მოელება მთლად ყველა ამას მხოლოდ მაშინ, როცა ხევსურეთი მოიფინება სკოლებით და იქ აღზრდილი ახალგაზრდობა დაჰგმობს მამა-პაპათა სიველურეს. ეს როდის იქმნება, არ ვიცი, იმედი კია და ნიშნები, რომ იქნება. ხალხი აქ ბევრად ელტვის სწავლას, ვინემ ბარად. ამ ხანადაც წინ მიდევს სოფლის ხელ წერილი, რომლითაც აცხადებენ ძალდაუტანებლივ, უბრალო რჩევით, ვუშუამდგომლო მთავრობასთან სკოლის გახსნაზე. ისე იშვიათად მოვა ვინმე, რომ საკითხავი ქაღალდი არ ითხოვოს, თუ ჩაუვარდა ვისმე კითხვის მცოდნეს გაზეთი ხელში, მთელს სოფელს გარს შემოიხვევს და წაუკითხავს. კალენდარის წაკითხვა ამათი ღმერთია.

ყველაზე უდიდესი ბოროტება აქ ის არის, რომ დედაკაცი პირუტყვთან არის შებადლებული, როგორც აღმოსავლეთ ველურ ხალხებში. ხევსურის ცოლთან ქვედა სართულში მოთავსებულია საქონელი და ჯორიკა. მთლად ამათი მოვლა და პატრონობა ვალად სდევს დედაკაცს, იმან უნდა საჭმელიც უზიდოს, გომიც უხვეტოს, წყალიც ასვას და ღამეც უყარაულოს; ხევსურმა თვითონ უნდა ჩიბუხი აბოლოს, წეკო ღეჭოს, აწიტოს და ჭერხოდან არხეინად უყუროს, სანამ მინდვრის მუშაობა დაიწყება. უბედურება დედაკაცს აქ სტანჯავს ნამეტურ იანვრიდან დაწყობილი აპრილის გასვლამდის. დადგება თუ არა იანვარი, დაიწყება „ნეკრობა". ეს ის ჯანაბაა, რომ საქონლის საკვების სიმცირის გამო დედაკაცი მოდის ხოლმე ფერდობზე წელამდის თოვლში, ამტვრევს იქ ნედლის ხის კენწერს, ჰკრავს ტვირთს და მოაქვს შინ ზურგით. აქაური შინა უნდა იცოდეთ, რომ მთაწმინდის წვერი შედარებით ბევრით ვაკეა. ამ საბრალო დედაკაცს, ოთხად მოღუნულს, დღე მუდამ ჰხედავ, რომ დაეხეტება კლდის ნაპრალებზე და იქ აგროვებს ნეკერს. ამას დაუმატეთ ის, რომ რაწამს თოვლი დნობას დაიწყებს და ლაფობა გამოჩნდება, დედაკაცები სულ ფეხ-შიშველა დაიწყებენ სიარულს; რომ ჰკითხოთ—რად დადიხართ ფეხ-შიშველაო, საწყენოდაც მიიღებენ, განა ჩვენ კაცები ვართ, რომ სირცხვილი იყოსო.

დაუმატეთ ამას ის, რომ, როდესაც დედაკაცები წეროსავით გამწკრივებულნი ოცობით და ორმოცობით დიდი და პატარა, ქალი და რძალი დატვირთულები შეუდგებიან აღმართს ორის ვერსის მანძილზე, მაშინ კაცები უსაქმოდ ლაყბობენ ბანზე და დამტყვრალი ჯორაკები ეზოში დაფუნდრუკობენ. ხევსურს ჯორი და ცხენი გაცილებით უყვარს თავის ცოლზე. დედაკაცს ყოველთვის გაილებს, ცხენსა და იარაღს კი ძნელად. თვითონ დედაკაცებიც შეჰრიგებიან ამ მდგომარეობას, ბევრად არა დარდობენ, თუ დღეს ერთთან არიან და ხვალ მეორესთან.

ჯვარ-დაწერილი ცოლ-ქმარი ერთი ათზე მოდის ჯვარ დაუწერელზე. თუ ქმარს უშვილო გამოადგა, ის ან მეორეს მოიყვანს ან გამოიცვლის. ცოლიც ასევე იქცევა, თუ ვაჟი არ ეყოლა, თავს ანებებს პირველს ქმარს და სხვასთან მიდის. ხევსური ორჯელ ქორწილდება. პირველად რომ დაქორწილდება, ცოლს წაიყვანს შინ და მთელი წელიწადი

მა გამოსაცდელად გამოიწერა ერთი სახურავი. დაჯდა 170 მანეთად. პოლიცმეისტერმა გამოიწერა ერთგვარი სათვალეები, ცეცხლის ქრობის დროს ძალიან გამოსადეგი.

◆ 17 აპრილს, ყორღანოვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში გადაიცვალა საინჟენერო უწყების საწყობის გამგე დანიელ ივანოვი. ივანოვი ვახშამსა სჭამდა თურმე, რომლის დროსაც ყელზე ლუკმა დასდგომია. დაუძახნია მეეზოვესთვის, მაგრამ ვერაფერი უშველიათ, შემდეგ ექიმი ხელნიცკი მოუყვანიათ, მაგრამ ვერც იმას მოუხერხებია და ამ ყელში გაჩხირულ ლუკმისაგან გადაცვლილა ივანოვი.

◆ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ერთს სპარსელს სადგურზე ვიღაც ქურდებმა მოტყუებით 806 მან. წაართვეს. პოლიციას აღმოუჩენია დამნაშავენი და დაუპატიმრებია. ესენი არიან ტფილისის მოქალაქენი სამსონ სალათოვი და სარქის აგადაევი.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა დაავალა ბოქაულებს განსაკუთრებული თვალ-ყური ადევნონ იმ ქალებს, რომელნიც უსაქმოდ ქუჩებში დადიან, დაპატიმრონ ხოლმე ესეთი ქალები და წარუდგინონ იმას.

რუსეთის ქრონიკა

◆ მიწათ მოქმედების სამინისტროსთან, მინისტრის ამხანაგის სტევენის თავმჯდომარეობით, შესდგა კომისია რუსეთის მევენახეობისა და მეღვინეობის საჭიროებათა გამოსარკვევად. კომისიამ უნდა გამოსძებნოს აგრეთვე ის საშუალებანი, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელი იქმნება მეურნეობის ამ დარგის გაძლიერება. კომისიის წევრებად არიან საუფლისწულო უწყებისა, გზათა და ფინანსთა სამინისტროებისა, მევენახეებისა და მეღვინეების წარმომადგენელნი.

◆ პოლიციის დეპარტამენტს განუზრახავს საქარხნო პოლიციის რეორგანიზაცია. დეპარტამენტს უკვე მიუმართავს ზოგიერთ გუბერნატორებისათვის და უთხოვნია ცნობების გაგზავნა ქარხნებისა და მუშების რაოდენობის შესახებ. ასეთი ცნობები, სხვათა შორის, კიევის გუბერნატორისთვისაც მოუთხოვნია, ამასთან შეჰკითხებია, შეიძლება თუ არა კიევის გუბერნიაში მოეწყოს განსაკუთრებული საქარხნო პოლიციაო.

◆ 31 მარტს კიევში სასამართლოს გაურჩევია სექტანტების საქმე. პოლიციას სამართალში მიუცია 300 შტუნდისტი. სასამართლომ ყველანი გაამართლა.

◆ მკითხველებს ეხსომებათ „პრავ. ვესტ."-დან გადმობეჭდილი ამბავი კიშინევში მომხდარ უწესოებათა შესახებ. ამ უწესოებებს საშინლად დაუფრთხია და შეუშინებია კიშინეველნი. როგორც ოდესის გაზეთები გადმოგვცემენ, კიშინევიდან ოდესაში 8 აპრილს დიდ-ძალი ხალხი გაქცეულა. ბევრს მიუნებებია თავი სახლ-კარისათვის და მატარებლით ოდესისაკენ წასულა. ოდესას იმოდენი ხალხი მიაწყდა თურმე, რომ სასტუმროები აღარ იტევდნენ. ქუჩაშიაც კაცი ფეხს ვერ აუქცევდა გამოქცეულთ.

◆ როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, ცნობილ ჟურნალის „რუსკაია მისლის" რედაქტორ-გამომცემელი ჰყიდის თავის ჟურნალს. მოსკოვში ჟურნალისტთა ამხანაგობა სდგება, რომელსაც განუზრახავს ჟურნალის შეძენა.

◆ ეს ერთი წელიწადია ფინლანდიაში რუსულ ენაზე გამოდის „ფინლანდიის გაზეთი". 25 მარტს ამ გაზეთის რედაქტორს, ივანე ბაჟენოვს უმაღლესად ებოძა ორდენი წმ. სტანისლავისა.

◆ გლეხობასთან ერთად რუსეთის აზნაურობაც შეუდგა ციმბირში გადასახლებას. სამარის მაზრის უადგილ-მამულო აზნაურებს რწმუნებულნი ამოურჩევიათ ციმბირში გასაგზავნათ და ადგილების დასათვალიერებლად. სულ სამი კაცი აარჩიეს. ამათ გასაგზავნად ერთმანეთში ფული მოჰკრიბეს.

პრესსა

ამას წინად ჩვენ მოყვანილი გვქონდა „რუსსკი ვედომ."-ის აზრი საფაბრიკო კანონმდებლობის გაფართოვების საჭიროების შესახებ. ახლა იგივე გაზეთი განაგრძობს ამ საგანზე მსჯელობას და ამტკიცებს, 1897 წლის 2 ივნისის საფაბრიკო კანონი თითქმის სრულიად უმნიშვნელოა არისო.

> ამ კანონით, ამბობს გაზეთი, მუშაობის დრო ორთავე სქესის მუშებისათვის არ უნდა აღემატებოდეს $11\frac{1}{2}$ საათს, ხოლო შაბათობითა და უქმეების წინა დღეებში 10 საათსა; ამაში არ შედის სადილის დრო. თერთმეტ ნახევარ საათის მუშაობა უნდა ჩაითვალოს მეტად დიდ დროთ და საძნელოთ მუშებისათვის. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ავსტრალიას, სადაც უკვე დაკანონებულია 8 საათის მუშაობა, ევროპის სახელმწიფოებმაც გაუსწრეს ამ მხრით რუსეთს: არცერთ სახელმწიფოში არ არსებობს ისეთი გრძელი სამუშაო დღე, როგორიც დაწესებულია რუსეთში.

მაგრამ ეს კიდევ არაფერიაო, განაგრძობს გაზეთი. საქმე ის არის, რომ 1897 წლის 2 ივნისის კანონიც სავსებით არ სრულდება; ნამდვილად კანონი ისეა შეზღუდული სხვა-და სხვა დამატებითი წესით, რომ თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს.

> ჯერ ერთი, კანონის მოქმედება არ გაავრცელეს იმ მუშებზე, რომელნიც ეგრედ წოდებულ „შეუწყვეტელ წარმოებაში" მუშაობენ, ესე იგი, ისეთ წარმოებაში, რომლის უდროო დროს შეწყვეტა, კანონის სიტყვით, „აფუჭებს საწარმოებელ იარაღს, მანქანებს, მასალასა და სხვას"; ამგვარ წარმოებაში ორი დღე-ღამის განმავლობაში მუშებმა არ უნდა იმუშაონ 24 ან 30 საათის მეტს; ასე რომ ამ შემთხვევაში კანონი აწესებს არა ნაკლებ 12 საათის მუშაობას... სამწუხაროდ, ამ დამატებით წესმა ბევრ მუშებისათვის მოსპო კანონის კეთილ გავლენა, რადგან ფინანსთა სამინისტროს მიერ აღნიშნულ იქმნა დიდძალი ფაბრიკა-ქარხანა, სადაც უნდა ეხელმძღვანელათ „შეუწყვეტელ წარმოების" შესახებ არსებულ წესით.

ეს ერთი შეზღუდვა 2 ივნისის კანონისა. მეორე ამაზე უფრო უარესიაო, სწერს გაზეთი, იმდენად უარესი, რომ კანონის მნიშვნელობა სრულიად მცირდება. ეს მეორე დამატებითი წესი შეეხება დაწესებულ დროზე მეტ მუშაობას. კანონი,

> მის მაგიერ რომ შეეზღუდა მუშების ექსპლოატაცია და აეკრძალა დანიშნულ დროზე მეტი მუშაობა, მრეწველთა და მუშებს ანიჭებს ნებას „თავისუფალის შეთანხმებით" დააწესონ დანიშნულ დროზე მეტი მუშაობა,—იმდენი, რამდენსაც მოისურვებენ.

ასეთი დამატება, რასაკვირველია, ხელსაყრელია მრეწველთათვის და ისინი უხვად სარგებლობენ მით, რათა მუშები ბევრად უფრო მეტ დროს ამუშაონ, ვიდრე კანონით დაწესებულია... ასეთი შეზღუდვანი, როგორც ვსთქვით, თითქმის სრულიად სპობენ 2 ივნისის კანონის მნიშვნელობას. გაზეთს ამის გამო მოჰყავს ავტორიტეტული აზრი ევროპის სახელმწიფოთა საფაბრიკო კანონ-მდებლობის ცნობილის ისტორიკოსის ცანტენისა; ეს ამბობს:

> ფინანსთა მინისტრის მიერ შემუშავებულ დამატებითი წესებმა ძირიანად მოსპეს რუსეთის საფაბრიკო კანონის მნიშვნელობა.

ყველა ეს გვიმტკიცებსო, დასძენს დასასრულ გაზეთი „რუსსკ. ვედომ.",

> რამდენად სუსტად იცავს ჩვენში კანონი მუშების ინტერესებსა და რამდენად საჭიროა ამ კანონმდებლობის გაძლიერებისათვის ფართო რეფორმის მოხდენა.

თეატრი

ბაქო. 23 აპრილს, ოთხშაბათს, რკინის გზის აუდიტორიაში გაიმართება ქართულ-რუსული წარმოდგენა არტისტის ვ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ. წარმოადგენენ ქართულად „ჯვარცმულ მეძავს" და რუსულად ერთ მოქმედებიან ვოდევილს. დივერტისმენტში წაიკითხავენ იმერულ სცენებს, სცენებს გლეხის ცხოვრებიდან, ლექსებს და სხვას. დასასრულ გაიმართება ვერთხმიული ცეკვა და ლეკური.

წერილი ახალ-სენაკიდან

ქურდობა.—აბრეშუმის თესლის უქონლობა.

ამ ჟამად ახალ-სენაკის ახლო-მახლო მდებარე სოფლებში ერთობ გავრცელებულია შინაურ საქონლის ქურდობა. ისეთი დღე იშვიათია, რომ ქურდობისა არა გაიგოთ რა. ერთ ღამეში სოფ. ისულაში თორმეტი ცხენი ერთად მოიპარეს. უბედურება ის არის, რომ ამდენ საგრძნობ ზარალს იძლევიან ღამის რაინდები, მაგრამ ამათი ხელის შემშლელი არავინ არის. ჯერ-ჯერობით ვერც ერთ ქურდსათვის ვერ მიუგნიათ.

წელს ჩვენს დაბაში ძალიან ნაკლებ მოიტანეს გასასყიდად აბრეშუმის ჭიის თესლი. ვინც შორიდამ მოიტანა, კარგ ფასადაც გაჰყიდა. ეხლაც აქვთ ზოგიერთ ვაჭრებს გასასყიდი თესლი, მაგრამ ჭია გამოსულია კოლოფში და თან არც ბინდერიდი აქვს კავკასიის საბრეშუმო სადგურისა. აბრეშუმის თესლის ამ გვარმა სიძვირემ დიდად დაადონა და დაამწარა ჩვენი მეაბრეშუმე ქალები. რა თქმა უნდა, წელს აქ ნაკლები მოსავალი იქნება აბრეშუმისა, რომელსაც სიმინდის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს ჩვენის ნივთიერად დაცემულ ხალხის ცხოვრებაში. სასურველი იყო, რომ სამეგრელოს „შუამავალს" ამაზე ყურადღება მიექცია. ჩვენდა სამწუხაროდ, ამხანაგობას დაარსების შემდეგ არ შეუსრულდებია. ასე წარმოიდგინეთ, იმისი არსებობისა სამეგრელოს ნახევარმა მცხოვრებმა არც კი იცის. ამხანაგობის ანგარიში იშვიათად იბეჭდება გაზეთებში. რამ შეაშინა ამხანაგობა და ან რათ არ იწვევს გაზეთის შემწეობით მსურველებს? დროა, დრო, ამხანაგობამ გამოიღვიძოს.

ტელეფონი.

დაბა-სოფლები

სამხთო (გურია). სწავლა-განათლებით სამხთოს, მეზობელ სოფლებთან შედარებით, უპირველესი ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ სოფელ მიქელ-გაბრიელში, რომლის საზოგადოებას ეკუთვნის სამხთო, არსებობს ორ-კლასიანი სასწავლებელი, სამხთოელებს ჰქონდათ ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა. სამინისტრო სასწავლებელი დაშორებულია სამხთოზე 5—6 ვერსით. ოღრო-ჩოღრო, მოუკირწყლავი და მთა-გორიანი გზები, ხშირი ღელეები და „ნოღოები" ადამისებურის ხიდებით ძლიერ უძნელებს სამხთოელ ბავშვებს სამინისტრო სასწავლებელში სიარულს. ამიტომ სამხთოის სკოლის დამაარსებელთ აზრად ჰქონდათ თავიანთ შვილებისთვის სკოლაში სიარულის გაადვილება. მათის აზრით, ბავშვი რომ სამს წელს დაჰყოფდა სამხთოს სკოლაში, გამოუცდელად უნდა მიეღოთ მეორე კლასის სასწავლებლის უმცროს განყოფილებაში. ამის შემდეგ რა გასაკვირალია, თუ სამხთოელები დიდის სიხარულით მიეგებნენ სკოლის დაარსებას. „აწი ბავშვს უსწავლელი აღარ დარჩება ჩვენში"-ო, ამბობდნენ სკოლით წახალისებულნი სოფლელნი. მაგრამ სიხარული ცოტა ხნისა იყო. უცოდინარობისა თუ სხვა მიზეზების გამო სამხთოელი ბავშვები ისევ სამინისტრო სასწავლებლის პირველ-დაწყებით განყოფილებაში მიიღეს. ამან დიდი აურ-ზაური გამოიწვია სამხთოელებში. მთელი სოფელი ორს ნაწილად გაიყო: ერთი გაიძახოდა: „ეს სკოლა სამინისტროს უნდა გადავცეთ, რადგან უსარგებლო გამოდგა ჩვენთვის, ბავშვები გაგვიცდინა და გონების მეტი არაფერი მოაქვსო". მეორე—სულ წინააღმდეგს ამბობდა: „ეს სამრევლო სკოლა ძლიერ სასარგებლოა ჩვენთვის, რადგან აქ ჩვენს შვილებს დედა-ენაზე ასწავლიანო". საქმე იმ ზომამდე გამწვავდა, რომ უმეტესს ნაწილს სოფლისას სკოლის სრულიად გაუქმება სურდა. სამი წელიწადია მას შემდეგ და ამ საქმეს არაფერი ეშველა. საზოგადოებას სკოლაზე გული აუცრუვდა და მასწავლებელთა რიცხვი დღითი-დღე კლებულობს. შენობის სახურავი ჩალპა და მალე დახურვას მოითხოვს. სკოლას აქვს ცოტა მიწა. სკოლის დაარსების დროს აზრად ჰქონდათ ამ მიწაზე სკოლისავე სასარგებლოდ ბაღის მოშენება, მაგრამ უყურადღებობის და თან უსახსრობის გამო ეს მიწა ამდენს ხანს შემოუღობავი იყო. წელს, როგორც იყო, შემოღობეს და დაამზადეს ბაღისათვის.

ადგილობრივ მასწავლებლის სახელზე სამხთოელები იწერდნენ თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რომელიც შემდეგ ბინაგვარად ეზავნებოდა მსურველებს. ხშირად შეჰხვდებოდით, რომ მუშაობისაგან დიდდი-

ჰყავს, შემდეგ ისევ აბრუნებს თავის მშობლების სახლში, აქ ქალი რჩება რამდენსამე თვეს. აქ ქალს ეკითხებიან, არის თუ არა მსურველი ეცოლოს იმ კაცს, ვისთანაც მთელი წელიწადი იყო? თუ თანხმობა გამოაცხადა, ხომ სიძე მეორე ქორწილს შვრება და საბოლოოდ შინ მიჰყავს და თუ უარი, მაშინ მინატანს მზითევს უბრუნებს და მიდის ხელ-ცარიელი. ქალი სხვა საქმროს მოსძებნის და ჩქარაც იპოვნის, არავინ დაერიდება.

ხევსურებს ადგილის სიმცირის გამო არ უყვართ მრავლად შვილების გაჩენა, იშვიათია ხევსურს სამ შვილზე მეტი ჰყავდეს. სირცხვილია, რომ ხუთის წლის დაქორწილებული არ იყოს, როცა პირველი შვილი ეყოლება, უპატიოსნოს დაუძახებენ. აგრეთვე ხევსურს თუ შვილი წამოეზარდა, სტოვებს ცოლქმრობას და ცოლთან აღარა წვება 40 და 50 წლის კაცი. ხევსურებს აქვთ კიდევ ერთი საძაგელი ჩვეულება „წაწლობა". ეს ჩვეულება, მითხრეს, სხვა მთიელებსაც აქვთო, მხოლოდ არ ვიცი, რის გარჩევით. აქ კი ასე სწარმოებს: ქალი და ვაჟი ერთმანეთის და ძმობას ეტყვიან, დალევენ ლუდს ერთის თეფშიდან ორივენი და მაშინ იმათ აღარ ეთაკილებათ ერთად წოლა სადმე „ჰერხოში" ან საჩალეში. ეს დაძმობილება იციან მხოლოდ ერთმანეთში და არასოდეს გარეშე პირთან. მკაცრად აკრძალულია დაახლოვება ქალისა უცხოსთან. თუ იმისთანა რამე მოხდა, მთელი სოფელი იმ ქალს გაინაპირებს, აღარც სახატოს მიუშვებს და აღარც სხვაგან. მაშინ იმას დარჩენია-ღა ან წყალში გადავარდეს, ან თავი ჩამოიხრჩოს, ან გულში თოფი იკრას. ყოფილა ამ გვარი მაგალითები.

ხევსურის ქალი გამბედავია. თვითონ ქალი ახალგაზდობაში ბევრად ლამაზია ბარის ქალზე, მხოლოდ ხანში შესული კი სწორედ მაიმუნს მოგაგონებს. მეტად ჩქარა სტეხს ხევსურის დედაკაცს უზომო ჯაფა. უმეტესი მათგანი ფილტვების ანთებით და ნაწლევების ტკივილით იხოცებიან. ბევრი არ არის ხევსურეთში ღრმად მოხუცებული დედაკაცი, ამათ ჯოჯოხეთურს ცხოვრებას დაუმატეთ ამათი ბოსლობა, სადაც დედაკაცები, ქალები და გათხოვილები, მთელ კვირეებს ატარებენ მშობიარობის და შვილიანობის დროს და მაშინ თვალ-წინ წარმოგიდგებათ სანდვიჩევის კუნძულების ველურნი.

ხევსური მეტად ფრთხილად ეკიდება შეშას, ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ხევსურეთში ძვირია და ხალხს ჯორებით ზაფხულობით შორიდან უხდებათ ზიდვა. ხევსურეთში ტყის საქმე და მისი დაცვა ძირითადი საქმეა. ხევსურეთს უთუოდ ყური უნდა ეგდოს, თუ რომ არ გვინდა იგი მთლად ავერანდეს. საქმე იმაშია, რომ თუ ყოველს სოფელს არა, უმეტეს ნაწილს მაინც მთელის ზამთრობით გამოაქვთ დღეში ოცი და ორმოცი ტვირთი ხის კენწერო და ამით მთლად ბოლოს უღებენ ხევსურეთის ტყეებს და საშინელს შედეგს უმზადებენ თავის შვილებს. სადაც ამ ხუთის და ათის წლის წინად ნაქები ტყე და ჭალა ყოფილა, დღეს მთლად გაუტიალებიათ ამ ნეკრობით.

განთქმული ხევსურეთის ღულის ჭალა დღეს საცოდავ ქაჩალს გორას წარმოადგენს, ესევე მოელის ლიკოვის ჭალას და თუ კიდევ არის სადმე ტყე— იმასაც. ძველად სახატო ტყეებს ეძახდნენ, ღვთის-მშობლის ჭალებს, ხელს არ ახლებდნენ, ასე გასინჯეთ შიგ რომ ჯიხვს ეარნა, იმასაც არ მოჰკლავდნენ. ეხლა სულ შეურაცხყვიათ და მთლად მუსრს ავლებენ. მარტო ის ხომ არ არის სადარდელი, რომ მომავალში შეშის ზიდილი მოგვიხდება თიანეთით და დუშეთით, ის არის უფრო სამწუხარო, როცა ტყე მთლად მოშორდება დაქანებულს ფერდობებს, მაშინ თოვლის და მიწის ზვავები ისე მოუხშირებენ ჩამოსვლას, რომ ყოვლად სახიფათო გაჰხდება ხევსურეთის გზებზე სიარული. ჯერ ეხლა ძნელად გავა კვირა, რომ სადმე ვიწრო გზაზე ან თოვლის ზვავმა ან მიწამ, ან საგორავმა არავინ მოიტანოს ქვეშ და არ მოჰკლას—ამ დღეებშიაც იმსხვერპლა ერთი კაცი საგორავმა; და მაშინ რაღა იქმნება, როცა აღარასფერი დაიჭერს მომცურავს თოვლს, მიწას თუ ქვას!

თუმცა ამას კონსერვატორობაში ჩამომართმევთ, მაგრამ კარგი კი იქმნება ზომები მიიღოს ვისგანაც ჯერ არს და ნეკრობა აკრძალოს. რისთვის ეძლევა ტყის მცველს თვეში ორი თუმანი, არ მესმის? ტყეები მთლად მიდის და შავს კლდეებს რა პატრონობა უნდა? აქ კიდევ ოქრო-ვერცხლის და ალმასის მადნები არ არის. ილტყვიან, რაღათი გამოჰკვებონ საქონელიო? თუ მოვინდომეთ, მაგას ჩქარა ეშველება. ხევსურებს აქვთ სურვილი (ერთ ნაწილს) გადასახლდნენ იქ, სადაც ფართო სახელმწიფო ადგილებია. ამ ნაირი სახევსურო ადგილები ბევრია ცივ გომბორის მთაზე. დანარჩენებს თანაბრად უნდა გაეყოს ხევსურეთის მთები, სათიბები და საძოვარი. მაშინ ნეკრობა აღარავის დასჭირდება და ხევსურეთის ტყეები აღარ გავერანდება.

ბარისახოელი.

P. S. ვსარგებლობ შემთხვევით და ვაცხადებ, რომ ჩემი სიტყვები: „ძველად ყოფილა რაღაც აფთიაქი ბარისახოს სკოლასთან და გინდაც ღმერთის წყალობაა" არ შეეხება მამა ისიდორე პერტაიას.

ბ.

ლი სამხრეთული გაზეთის კითხვაში ართობდა თავს. კითხვით წახალისებული სამხრეთელები, პატარა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსებაზედაც კი ოცნებობდნენ. მაგრამ წელს გაზეთებიც მოგვესპო. „რაღა გვეგაზეთება, ძმაო, ქალი და ბალანაი შიმშილით გვიწყდებათ", გაიძახიან სამხრეთელები. რომ ჩვენი სოფელი გაჭირვებაშია, ამას თქმა არ უნდა, მაგრამ კარგს იზამენ, თუ შემდეგში მაინც ჩვეულებისამებრ არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს გაზეთების გამოსაწერად.

ამ უკანასკნელ დრომდე სამხრეთელები ნაკლებად ეტანებოდნენ აბრეშუმის მოვლას. მაშინ, როცა იმერეთის ახლო-მახლო სოფლებში მეაბრეშუმეობას კარგა მოდგმული ჰქონდა ძირი, ჩვენს სოფელში ჭიების ხსენებაც არ იყო. მაგრამ, როცა „შუამავალი" დაარსდა და პარკის ფასმა აიწია, სამხრეთელებიც მოეკიდნენ მეაბრეშუმეობას და ამ უკანასკნელ წლებში კარგს შემოსავალსაც აძლევდა სოფელს. წელს, როგორც ამბობენ, „შუამავალს", ხელ-მოკლეობისა გამო, ვერ მოუტანია საკმაო თესლი. სხვების კერძო პირები ჰყიდდნენ თესლს, წელს არც ამათი ისმის-რა. სამხრეთელ ქალების ცრემლები ზღვას შეერთვის.

რათა ცოტად მაინც შეეკვეცათ ფრთები მოვახშეთა თავგასულობისთვის და თავიდან აეშორებინათ 20—25% ფულების სესხება, სამხრეთელებმა მოიფიქრეს დაეარსებინათ შემნახველ-გამსესხებელი ბანკი. მოფიქრება და საქმის შედგომა ერთი იყო. მაშინვე გაეწერეს, გამოიწერეს საჭირო დავთრები, გამოითხოვეს ნება-რთვა და შეუდგნენ ფულის მოგროვებას. პირველს პარტს მომხდარის წლიურის კრებიდან დავინახეთ, რომ ბანკს წლის განმავლობაში ჰყოლია 44 წევრი. შემოსული საწევრო ფული—400 მანეთი (პაი 25 მან). ეს ფული გასესხებული ყოფილა იმავე წევრებზე და შემოუტანია მოსავლები 51 მან. და 20 კაპ. ამ მოგებიდან 26 მანეთი და 37 კაპ., კრების დადგენილებით, გადაიდვა მომავალში კასის შესავსებად და დანარჩენი 24 მანეთი და 83 კაპ. დაურიგდა წევრებს, რომლებმაც იქვე პაის ფულს მიუმატეს. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ეს ბანკი ერთად-ერთი სამეურნეო დაწესებულებაა ჩვენს სოფელში და დიდს სარგებლობასაც მოუტანს სოფელს, თუ საქმეს გულდაგულ მოეკიდებიან. დიდი წინდახედულობა ჰმართებთ იმათ, ვინც ბანკში მოხელედ ირიცხება და განსაკუთრებით გამგეს, გ. ნაკაიძეს, რომლის ხელშია ბანკის მომავალი. ვუსურვებთ რომ ჩვენი ბანკის საქმე წინ წასულიყოს.

ი. დონეშვილი

—

სამტრედია (იმერეთი). „ივ. ფურც."-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია იორდანე სიხარულიძის საიკვდილოდ დაჭრის შესახებ, რომელიც რამოდენიმეთ სიმართლეს მოკლებული იყო. აი, საქმე ნამდვილად როგორ მოხდა. ხუთს აპრილს, საღამოს 7 საათის მატარებლით ჭიათურიდან ჩამოვიდა სამტრედიაში იორდანე სიხარულიძე, სადაც იმას დაუხვდნენ ძმა სპირიდონ და ძმისწულები, მოწაფეები, ტფილისიდან ჩამოსულნი. ერთის საათის განმავლობაში იმან საგაჭრო მაღაზიაში იბაასა, მხოლოდ შემდეგ სახლში მივიდა და ჩაი დალია. 8 1/2 საათზე იორდანე და ერთი იმისი ძმისწული გამოვიდნენ უკანა სახლის აივანზე; ამ დროს სპირიდონ სიხარულიძე თავის კანტორაში იყო და მეორე ოთახში კი ძმისწულები. იმ დროს, როდესაც იორდანე აივანზე ელაპარაკებოდა ერთ მოსამსახურეს, შემოვარდა ერთი ყაჩაღი, რომელსაც ხანჯალი ჰქონდა ხელში, და მიაყვირა იორდანეს ძმისწულს, გაჩერდით. ის მობრუნდა ოთახისკენ გასაქცევად იმ დროს, როდესაც ყაჩაღმა სიპტყით ხანჯალი ჩაარტყა ზურგზე და შეჰყვა ოთახში, სადაც ბავშვები იყვნენ, ოთახში ასტყდა ყვირილი. დანარჩენი 5 ყაჩაღი ხანჯლით და რევოლვერით შეიარაღებული, მისცვივდნენ იორდანეს და დაუწყეს შორიდან რევოლვერით შინება. ხმაურობაზე სპირიდონ სიხარულიძემ გამოიხედა კანტორიდან და რა შეხვდა ამ ამბავს, გაიქცა წინა კარებისაკენ და გავიდა ქუჩაში, სადაც მორთო ყვირილი, გვიშველეთო. ამ დროს იორდანე ეუბნებოდა ყაჩაღებს: „არ მომკლათ, ფული თან არა მაქვს. თუ გნებავთ, ბარათებს მოგცემთ, თუ არა, დაიცადეთ და სახლიდან მოგცემთ, თუ რამე გვაქვსო." ეს სიტყვები არ გაათავებინეს, ერთმა ხანჯლით დასჭრა მსუბუქად და მეორემ გაისროლა რევოლვერი ჭერში. იორდანე გამწარებული ეტაკა ერთს მათგანს. მარჯვენა ხელი წაავლო ამოღებულ ხანჯალს და მარცხენა სტაცა კისერში; წაიყვანა რამოდენიმეზე წინ და დასცა იატაკზე. დანარჩენი ყაჩაღები კი შემოეხვივნენ. ქვეშ მყოფს ყაჩაღს გაუჭირდა და უყვირა ამხანაგებს: „დამიჭირა, არ გამიშვებს, მომკალითო." ამ დროს დასჭრეს საიკვდილოდ იორდანე მუცელსა და მხარში. შემდეგ ყაჩაღები გაიქცნენ. მხოლოდ ერთმა, რომელიც ოთახში შეჰყვა იორდანეს ძმისწულს, შეამწყვდია ბავშვები სპირიდონის კანტორაში და სთხოვდა ფულსა და კასის გასაღებს. როდესაც ბავშვებმა უთხრეს, ჩვენ არც ფული და არც გასაღები არ გვიცით, ჩამოიღო კედლიდან თოფი და ხანჯალი და გავარდა გარეთ. ყაჩაღების წასვლისთანავე ერთი ძმის-წული გამოვარდა მოაჯირზე, და რა ჰპოვა ბიძა დაჭრილი, გაიქცა ექიმის მოსაყვანად, მხოლოდ მერე მოვიდნენ ხალხი და „სტრაჟნიკები". ექიმებმა ჭრილობა შეუხვიეს და ქუთაისში წასვლა ურჩიეს სავადმყოფოთ, მაგრამ ქუთაისში მეორე დღეს გარდაიცვალა. 11 აპრილს, გამოასვენეს მიცვალებული ქუთაისის სადგურზე. გამოსვენებას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო; რკინის გზის სადგურზე სტუდენტმა სილოვან გ. დოჭვეპაანმა წარმოსთქვა სიტყვა. განსვენებულის გვამი დაასაფლავეს დიდ-ძალ ხალხის თანადასწრებით 15 აპრილს, სოფ. ერგეთში.

ი. მ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 აპრილი

ბიზერტა. დუბე შინისაკენ გზას გაუდგა.

ნიუ-იორკი. პატარა ქალაქი ფრანკ, კანადაში, 14 აპრილს, დილის 4 1/2 საათს კლდის ნამტვრევებ ქვეშ მოჰყვა და დაიმარხა: ტერტლის მთამ ამოხეთქა და კლდის ნამტვრევები იმდენი გადმოაყარა ქალაქს, რომ ზოგ ადგილას სახლები ას ფუტის სიმაღლეზე ქვეშ მოიქცა. 83 სახლობა დაიმარხა; ოცი მილის სივრცეზე არემარე გავერანებულია. მთა კიდევ ისვრის ქვებს. მდინარე ნაპირებიდან ამოვიდა, რადგან მთის ამონახეთქით აივსო.

კონსტანტინოპოლი. მარშალი ომერ-რუშდი შაქირ-ფაშასთან ერთად პრიზრენს მოვიდა ჯარების მოძრაობის საწინამძღვროდ.

რომი. ინგლისის მეფე პაპმა მიიღო ვატიკანში; მუსაიფი 25 წუთს გაგრძელდა.

— ინგლისის მეფე პარიზს წავიდა. მეფემ ვიქტორ-ემანუელმა ვოკზალამდე მიაცილა სტუმარი და სიყვარულით გამოეთხოვნენ ერთმანეთს.

კონსტანტინოპოლი. მიღებულის ცნობებით, სალონიკში ბოლგარელებს რამდენჯერმე მოუნდომებიათ დინამიტით აფეთქება. როგორც ისმის, საქმე იქამდე მისულა, შეიარაღებულიც თავს დასხმიან. იმასაც ამბობენ, რომ ოტომანის ბანკის განყოფილება დაიწვა, ბევრიც მოკლული და დაჭრილია. ჰფიქრობენ, ვითომც ეს იმ განზრახვითაა ჩადენილი, რომ ოსმალების მხრით იარაღის ხმარება გამოიწვიონ.

უფრო იმაში არიან დარწმუნებულნი, რომ სულთანი ალბანელების წინააღმდეგ ძალას არ იხმარს და მშვიდობიანად მორიგებას ამჯობინებს. ალბანელთა ზოგ ხალხების სხვა-და-სხვა მეთაურებისაგან სასახლეში დეპეშები მოვიდა სკუტარიდან და დიბრიდან: სულთანს ერთგულებას უცხადებენ და მეამბოხე ალბანელებთან ამხანაგობა არა გვაქვსო.

ლონდონი. ლორდთა პალატა. სპენსერი შეეკითხა მანჯურიის საქმეების გამო და ლანსდოუნმაც უპასუხა: მთავრობა ამ საქმეს დიდს ყურადღებას აქცევს, თუმცა დანამდვილებით საქმის ვითარების ცნობები საეჭვოაო.

იოკოჰამა. რუსეთმა ოფიციალურად გამოაცხადა, შანგინგის ადგილებიდან ჯარები მომყავსო.

პეტერბურგი. 17 აპრილს, დილის 10 საათს, მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებით ცარსკოე-სელოს დაბრუნდნენ.

— 17 აპრილს, ცარსკოე-სელოში, უმაღლესის თანადასწრებით, პარადი იყო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: მისის უდიდებულესობის ლეიბ-გვარდიის 1-მა და მე-2 მსროლელ ბატალიონმა და მისის უდიდებულესობის მე-6 დონის ბატარეამ.

18 აპრილი.

პეტერბურგი. ხარკოვის ვიცე-გუბერნატორს გერბელს უმაღლესად ნაბრძანები აქვს ხარკოვის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად ყოფნა.

— ხელმწიფე-იმპერატორმა უმაღლესი კეთილგანწყობილება გამოუცხადა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს ბულიგინს, მოსკოვის გუბერნატორს კრისტის, მოსკოვის გუბერნიის ჟანდარმთა მმართველობის უფროსს შრამმს, მოსკოვის ობერ-პოლიცმეისტერს ტრეპოვს, ჟანდარმთა კერძო კორპუსის უფროსებს, ადგილობრივ პოლიციას და პოლიციის გასაძლიერებლად მოსულ ყაზახთა რაზმს.

მარსელი. დუბე დღეს მოვიდა.

ბერლინი. რეიხსტაგის სხდომები დღეს დაიხურა იმპერიის კანცლერის მიერ.

კონსტანტინოპოლი. ცნობები პორტის მოქმედებაზე უსკიუბის ვილაეტის ალბანელთა წინააღმდეგ ძალიან ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. საფიქრებელია, შეტაკება არ ყოფილა და როგორც დიპლომატიურ წრეებში ფიქრობენ, არც იქნება, რადგანაც ნაბრძანებია შეძლებისდაგვარად სისხლის ღვრა აიცდინონ. ხმებს ოსმალთა დიდ სამზადისზე გაზვიადებულად სთვლიან. პორტა უფრო ფართო და ენერგიულ საშუალებებს ამზადებს ბოლგართა რაზმების უწესოების წინააღმდეგ. ამ მიზნით ოლქებს ნაწილებად ჰყოფენ და თვითოეულ ოლქს კერძო უფროსს უქვემდებარებენ.

ლონდონი. მანჯურიის შესახებ დაკითხვის პასუხად, კრანბორნი ამბობს, რომ დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის სწარმოებს ცნობათა გაცვლა-გამოცვლა. მმართველობამ სარწმუნო წყაროებიდან მიიღო დამტკიცება იმ ცნობისა, რომ რუსეთის მმართველობის განცხადების თანახმად, მან არაფერი არ იცის ვითომდა შემდგარ შეთანხმებაზე. მმართველობა უარ-ჰყოფს ყოველსავე სურვილს მანჯურიაში რამე განსაკუთრებით უფლებების მოპოვებისას ანუ ამ ქვეყნის შესახებ რომელისამე პირობის დარღვევისას.

კონსტანტინოპოლი. გუშინ ლესკოვეცთან შეტაკება მოხდა. დაიჭრნენ: 2 ოსმალო და 3 ჩეტის წევრი. რუსეთის და ავსტრიის კონსულებმა ადგილობრივ გუბერნატორს განცხადება წარუდგინეს იპეკის ქრისტიანების შესახებ, რომელნიც გრძნობენ, რომ მათ განსაცდელი მოელით, და სთხოვეს დეპუტაციის საშუალებით მფარველობა. როგორც ხმები დადის, პრიზრენის და კალკანდელენის ალბანელებმა მიიღეს რეფორმები რამდენისამე განსაზღვრით. გარეშე საქმეთა მინისტრმა გუშინ ზინოვიევი და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩი დაამშვიდა უსკიუბის ვილაიეტის მდგომარეობის და ალბანელთა წინააღმდეგ მიღებული საშუალებების შედეგის შესახებ.

სოფია. სალონიკიდან დეპეშები მოვიდა ოტომანის ბანკის აფეთქების შესახებ აჯანყებულ ბოლგარელთაგან. დაწვრილებით არა ვიცით-რა.

— რადგანაც ოსმალები ხალხს სჩხრეკენ და ძალას ატანენ, მაკედონელ რევოლიუციონერთა ორგანიზაციამ გადასწყვიტა უკიდურეს ზომებს მიჰმართოს და დაუნდობლად იძიოს შური ოსმალთა და მათ დაწესებულებათა წინააღმდეგ; ეს გადაწყვეტილება აუწყეს ყველა რაზმებს, მაკედონელ ცნობილ მოღვაწეებს და კონსტანტინეპოლის, სალონიკის და ბიტოლის მთავრობის წარმომადგენელთ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.); 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. 01 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ფოთისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არა ღებულობს. (0—24)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	|
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწული—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ადა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილის	1	50
რძე. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩის	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

კრემ ამიკოს (CRÊME AMYKOS)

საუკეთესო საჰიგიენო საშუალება პირისახისა და პირის კანისათვის, იხმარება პირის კანის ყველა მსუბუქ სენის წინააღმდეგ, როგორც მაგალითად, ჭორფლის, მუწუკის და სხვა ამგვარის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კარგია არტისტებისათვის გრიმის მოხსნის შემდეგ სახმარებლად, რადგან სპობს სიცხესა და გრიმის სხვა შედეგს. ამ წამლის ერთი ბანკის ფასი 1 მ. 25 კაპ., 2 ბანკა ეგზავნება მსურველს 3 მანითად პირდაპირ გამომგონთაგან: სავაჭრო სახლი „საპარფიუმერო ლაბორატორია ი. გოლდენდერ", პეტერბურგი, რაზიეზჟაია ქუჩა, № 13 (6. 4—1)

Дозв. ценз. Тифлисъ, 18 апрѣля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)